ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N12

თბილისი 11 ოქტომბერი, 2016 წელი

ჩვენ, ამ დოკუმენტზე ხელისმომწერნი:

ერთის მხრივ - **ა(ა)იპ - ქ. თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე** (შემდგომში - შემსყიდველი), დირექტორის **თამაზ ანდღულაძის** სახით და მეორეს მხრივ - **ინდივიდუალური მეწარმე - ეკა შველიძე** (შემდგომში - მიმწოდებელი), ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ა(ა)იპ-ის 2016 წლის ბიუჯეტის სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") "შემსყიდველსა" და "მიმწოდებელს" შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს "შემსყიდველმა" "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „შესყიდვის ობიექტი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების ობიექტი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია **ცხრილში ჩამოთვლილი საქონლის** სახელმწიფო შესყიდვა (შემდგომში - საქონელი):

N	საქონლის დასახელება	რაოდენობა ცალი	ერთეულის ფასი ლარი	ჯამური ფასი ლარი	CPV-კოდი
1	ვედრო - ფუნჯით	2.00	17.00	34.00	39224330 - სათლები/ვედროები
2	ფუნჯი - რეზერვი	4.00	5.00	20.00	39224210 - საღებავი ფუნჯები
3	უნიტაზის საწმენდი სითხე	50.00	6.00	300.00	39830000 - საწმენდი საშუალებები
4	აეროზოლი	30.00	2.00	60.00	39830000 - საწმენდი საშუალებები
5	ხელთათმანი რეზინის	50.00	3.90	195.00	18424300 - ერთჯერადი ხელთათმანები
6	ნაგვის პარკი - პატარა	30.00	2.00	60.00	19640000 - პოლიეთილენის პაკეტები
7	ჭურჭლის სახეხი ღრუბელი	20.00	0.70	14.00	39224320 - ღრუბლები
8	ტუალეტის ჯოხი- ღრუბლით	5.00	12.00	60.00	39224320 - ღრუბლები
9	ღრუბელი - რეზერვი	5.00	5.00	25.00	39224320 - ღრუბლები
10	იატაკის ტილო - უნივერსალი	10.00	5.00	50.00	39525800 - საწმენდი ტილოები
11	უნიტაზის ჯაგრისი	6.00	4.00	24.00	39224310 - უნიტაზის საწმენდი ჯაგრისები
12	მეტლახის სითხე	15.00	3.50	52.50	39830000 - საწმენდი საშუალებები
13	საპონი	50.00	1.00	50.00	33711900 - საპონი
14	ტუალეტის ქაღალდი	48.00	0.70	33.60	33761000 - ტუალეტის ქაღალდი
15	ხელსახოცი	50.00	1.40	70.00	33764000 - ქაღალდის ხელსახოცები
16	ავეჯის საწმენდი - პრონტო	10.00	5.50	55.00	39830000 - საწმენდი საშუალებები
17	ჯუმბოს ქაღალდი	2.00	4.00	8.00	39830000 - საწმენდი საშუალებები
18	მტვრის საწმენდი ტილო	20.00	2.20	44.00	39525800 - საწმენდი ტილოები
				სულ, თანხა	*1 155.10*

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **1 155,10 (ერთიათას ას ორმოცდა თხუთმეტი ლარი 10 თეთრი) ლარს.**
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შესყიდვის ობიექტის შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადა და ადგილი

4.1. "მიმწოდებელი" უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას "შემსყიდველის" მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.
4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაში არ ჩაითვლება დროის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ის შეჩერებულია "შემსყიდველის" მიზეზით.
4.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია "მიმწოდებლის" ადგილსამყოფელი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2. მიღება-ჩაბარების აქტში ნაჩვენები უნდა იქნას მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება.
5.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია "შემსყიდველის" მხრიდან მოთხოვნილი უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიწოდების დადასტურებისა და ანაზღაურების მიღების მიზნით "შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტთან ერთად წარმოუდგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
5.4. "შემსყიდველის" მხრიდან, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე და საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირია შემსყიდველის დირექტორი, რომელიც არ იმყოფება "მიმწოდებელთან" ინტერესთა კონფლიქტში.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
6.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება - მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.
6.3. ანგარიშსწორებასა და სამუშაოების მიღებაზე შედგება მიღება-ჩაბარების აქტი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. **"შემსყიდველი" უფლებამოსილია:**
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს "მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) შესყიდვის ობიექტის მიწოდების დარსულებამდე გამოითხოვოს "მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო დოკუმენტი.
7.2. **"შემსყიდველი" ვალდებულია:**
ა) უზრუნველყოს "მიმწოდებლის" შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
ბ) უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, "მიმწოდებელს" გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.
7.3. **"მიმწოდებელი" უფლებამოსილია:**
ა) მოსთხოვოს "შემსყიდველს" მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.4. **"მიმწოდებელი" ვალდებულია:**
ა) შესყიდვის ობიექტი მიაწოდოს სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით ზემოთაღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
ბ) დროულად განიხილოს "შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.5. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 **„შემსყიდველი" უფლებამოსილია:**
ა) შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისქინებულ პირობებთან.
8.2 **„შემსყიდველი" ვალდებულია:**
ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
8.3. **„მიმწოდებელი" უფლებამოსილია:**
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4. **„მიმწოდებელი" ვალდებულია:**
ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.
9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, "მიმწოდებელი" ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, "შემსყიდველი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს "მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.5. პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირებისთვის გახარჯული დრო.
9.6. გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრასთან დაკავშირებით ინსპექტირების ჯგუფის მიერ განსაზღვრულ და ,,შემსყიდველთან'' შეთანხმებულ ვადაზე არ ვრცელდება საჯარიმო სანქციები.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები "შემსყიდველისთვის", გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.4. მხარე ვალდებულია 10.3. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 5 (ხუთი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
12.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა უთანხმოება და დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე არაუგვიანეს **2016 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.**

15. შესყიდვის ობიექტის სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონლის სპეციფიკაციები უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა "შემსყიდველს", ხოლო ერთი ეგზემპლარი - "მიმწოდებელს".

17. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"

ა(ა)იპ - ქ. თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე
თბილისი, აღმაშენებლის გამზ.N103
ს/ნ 202056069
სახელმწიფო ხაზინა
კოდი - TRESGE22
ანგ. N GE24NB0330100200165022
დირექტორი
თამაზ ანდღულაძე

"მიმწოდებელი"

ინდივიდუალური მეწარმე - ეკა შველიძე
თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ.N87
ს/ნ 01030033102
სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი - BAGAGE22
ანგ. N GE49BG 0000000 633 126 300

ეკა შველიძე

მიღება-ჩაბარების აქტი №12

თბილისი 11 ოქტომბერი, 2016 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ - ა(ა)იპ - ქ. თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე (შემდგომში - "შემსყიდველი"), დირექტორის თამაზ ანდღულაძის სახით,

ხოლო მეორეს მხრივ - „მიმწოდებელი"

ინდივიდუალური მეწარმე - ეკა შველიძე

(მიმწოდებლის დასახელება)

მხარეთა შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2016 წლის 11 ოქტომბერს გაფორმებული №12 ხელშეკრულების (შემდგომში - ხელშეკრულება) თანახმად და პირობების დაცვით, „მიმწოდებელმა" მიაწოდა, ხოლო "შემსყიდველმა" მიიღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, ანგარიშსწორების საერთო ღირებულებით **1 155,10 (ერთიათას ას ორმოცდა თხუთმეტი ლარი 10 თეთრი) ლარი.**

N	საქონლის დასახელება	რაოდენობა ცალი	ერთეულის ფასი ლარი	ჯამური ფასი ლარი	CPV-კოდი
1	ვედრო - ფუნჯით	2.00	17.00	34.00	39224330 - სათლები/ვედროები
2	ფუნჯი - რეზერვი	4.00	5.00	20.00	39224210 - საღებავი ფუნჯები
3	უნიტაზის საწმენდი სითხე	50.00	6.00	300.00	39830000 - საწმენდი საშუალებები
4	აეროზოლი	30.00	2.00	60.00	39830000 - საწმენდი საშუალებები
5	ხელთათმანი რეზინის	50.00	3.90	195.00	18424300 - ერთჯერადი ხელთათმანები
6	ნაგვის პარკი - პატარა	30.00	2.00	60.00	19640000 - პოლიეთილენის პაკეტები
7	ჭურჭლის სახეხი ღრუბელი	20.00	0.70	14.00	39224320 - ღრუბლები
8	ტუალეტის ჯოხი- ღრუბლით	5.00	12.00	60.00	39224320 - ღრუბლები
9	ღრუბელი - რეზერვი	5.00	5.00	25.00	39224320 - ღრუბლები
10	იატაკის ტილო - უნივერსალი	10.00	5.00	50.00	39525800 - საწმენდი ტილოები
11	უნიტაზის ჯაგრისი	6.00	4.00	24.00	39224310 - უნიტაზის საწმენდი ჯაგრისები
12	მეტლახის სითხე	15.00	3.50	52.50	39830000 - საწმენდი საშუალებები
13	საპონი	50.00	1.00	50.00	33711900 - საპონი
14	ტუალეტის ქაღალდი	48.00	0.70	33.60	33761000 - ტუალეტის ქაღალდი
15	ხელსახოცი	50.00	1.40	70.00	33764000 - ქაღალდის ხელსახოცები
16	ავეჯის საწმენდი - პრონტო	10.00	5.50	55.00	39830000 - საწმენდი საშუალებები
17	ჯუმბოს ქაღალდი	2.00	4.00	8.00	39830000 - საწმენდი საშუალებები
18	მტვრის საწმენდი ტილო	20.00	2.20	44.00	39525800 - საწმენდი ტილოები
				სულ, თანხა	*1 155.10*

აღნიშნული აქტი შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა "შემსყიდველს", ხოლო მეორე ეგზემპლარი - "მიმწოდებელს".

"შემსყიდველი"

ა(ა)იპ - ქ. თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის დირექტორი *თამაზ ანდღულაძე*

"მიმწოდებელი"

ინდივიდუალური მეწარმე *ეკა შველიძე*